ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N6

დაბა ქედა,

09 ოქტომბერი, 2025 წელი

**სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე**
**სხდომა დამთავრდა 12:15 სთ-ზე**

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

09.10.2025 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ვაჟა აბულაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 2 | მარინა ბარამიძე | კომისიის წევრი | |
| 3 | მამუკა გოგოლიშვილი | კომისიის წევრი | |
| 4 | გოჩა გორგილაძე | კომისიის წევრი | |
| 5 | რეზო თურმანიძე | კომისიის წევრი | |
| 6 | ლევან ვერძაძე | კომისიის წევრი | |
| 7 | დავით სირაბიძე | კომისიის წევრი | |
| 8 | შორენა კარანაძე | კომისიის წევრი | |

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი.

**მომხსენებელი:** სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 07 ოქტომბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი 12-95252804-95; განცხადების თარიღი: 07.10.2025) განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესრულება, რომლის თანახმად სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს/სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებას შორის.

დელეგირების ხელშეკრულებით მუნიციპალიტეტს გადაეცემა შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მხარდაჭერა პოსტ ავტორიზაციის პროცესში, სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა; ნაწილში)

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა;

ე) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/აღჭურვა;

ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვა.

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულებას სამინისტროსთან კონსულტაციით.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**კომისიამ გადაწყვიტა:**
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:15 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე** **ვაჟა აბულაძე**

**ოქმი შეადგინა:**

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში** **ნანა ბერიძე**